

(სსმ 26.02.2010 N 23 მუხ. 311)

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
რეგისტრაციის ნომერი
470.230.000.22.035.014.272

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრის
ბრძანება N 50/ნ
2010 წლის 26 თებერვალი ქ. თბილისი

შვილად აყვანის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების
შესახებ

„შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-12 მუხლის მე-4 პუნქტისა, მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის მე-15 მუხლის პირველი, მე-5 და მე-6 პუნქტების, მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის, მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის, 26-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 37-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ** :

1. დამტკიცდეს შვილად აყვანის თანდართული პროცედურები (დანართი N1).
2. დამტკიცდეს ბავშვის გაშვილებაზე თანხმობის და ბავშვის მიტოვების შესახებ განაცხადის ფორმა (დანართი N2).
3. დამტკიცდეს ბავშვის შვილად აყვანის მსურველ პირთა განცხადების ფორმა (დანართი N3).
4. დამტკიცდეს საქართველოდან გაშვილებული ბავშვის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოწოდების სპეციალური ფორმა (დანართი N4).
5. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს:
 - ა) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 31 დეკემბერის ბრძანება N305/ნ “შვილად აყვანის შესახებ დასკვნის მომზადებისა და გაცემის წესისა და მშვილებლისა და გასაშვილებელი ბავშვის თავსებადობის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ”
 - ბ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 31 დეკემბერის ბრძანება N307/ნ “ადგილობრივი და ცენტრალური რეესტრების წარმოების, გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელ

ოჯახთა/პირთა აღრიცხვის, შვილად აყვანასთან (გაშვილებასთან) და გაშვილებულ პირთა ბიოგრაფიულ მონაცემებთან დაკავშირებული ინფორმაციის შენახვისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ”

გ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის ბრძანება N 134/ნ “საქართველოდან გაშვილებული ბავშვის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოწოდების სპეციალური ფორმის დამტკიცების თაობაზე”

დ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილი ბრძანება 133/ნ “უცხო ქვეყანაში გასაშვილებელი ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამდგენი კომისიის მუშაობისა და უცხო ქვეყანაში გაშვილებული ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გადამოწმების წესის შესახებ”

ე) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 31 დეკემბერის ბრძანება N 306/ნ “ბავშვის გაშვილებაზე თანხმობის ან მშობლის უფლებაზე უარის თქმის შესახებ პირველადი და ძირითადი ფორმების დამტკიცების შესახებ”

ვ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 11 აპრილის ბრძანება N101/ნ “იმ დაავადებათა სიის დამტკიცების შესახებ, რომელთა არსებობის შემთხვევაში მშვილებელს არა აქვს ბავშვის შვილად აყვანის, ხოლო აღმზრდელებს-მომღები ოჯახის შექმნის უფლება”

ზ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 29 დეკემბრის ბრძანება N284 “ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა შვილად და შვილობილად აყვანის შესახებ”

თ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N 308/ნ “მშვილებელი ქვეყნის ცენტრალურ ორგანოსთან (ასეთი ორგანოს არარსებობის შემთხვევაში – გასაშვილებელ ქვეყანაში ლიცენზირებულ ან/და აკრედიტებულ შესაბამის უფლებამოსილ ორგანიზაციასთან) სპეციალური ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ”

6. ბრძანება ამოქმედდეს 2010 წლის 1 მარტიდან.

ა. კვიციანი

დანართი N1

შვილად აყვანის პროცედურები

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს პროცედურები განსაზღვრავს გასაშვილებელი ბავშვისა და მშვილებელ ოჯახთა/პირთა აღრიცხვის, ასევე რეესტრის წარმოების წესს, ადგენს გასაშვილებელი ბავშვისა და მშვილებელ ოჯახთა/პირთა თავსებადობის შეფასების, შვილად აყვანის შესახებ დასკვნის მომზადებისა და გაცემის, აგრეთვე, შვილად აყვანასთან (გაშვილებასთან) დაკავშირებული ინფორმაციისა და გაშვილებულ ბავშვთა ბიოგრაფიული მონაცემების შენახვისა და გაცემის წესს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. სააგენტო – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელიც არის მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური ორგანო, ხოლო მისი ტერიტორიული ერთეული – მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო.

2. რეგიონული საბჭო – სააგენტოს, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სათათბირო ორგანო, რომლის უფლებამოსილება და ფუნქციები განისაზღვრება კანონმდებლობით.

3. ამ პროცედურებში გამოყენებულ სხვა ტერმინებს გააჩნიათ იგივე მნიშვნელობა, რაც გათვალისწინებულია “შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ” საქართველოს კანონით.

მუხლი 3. შვილად აყვანის პროცედურების განმახორციელებელი უფლებამოსილი ორგანოები

1. შვილად აყვანის პროცედურების განმახორციელებელი უფლებამოსილი ორგანო არის სააგენტო.

2. სააგენტო:

ა) კოორდინაციას უწევს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოების მუშაობას;

ბ) უზრუნველყოფს სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას და შვილად აყვანის საკითხებში ბავშვთა უფლებების დაცვას;

გ) აწარმოებს რეესტრს, უზრუნველყოფს მის სისტემატიზებასა და დამუშავებას;

დ) ახორციელებს შვილად აყვანის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. მხოლოდ სააგენტოა უფლებამოსილი, განახორციელოს საერთაშორისო გაშვილება.

4. სააგენტო ვალდებულია 18 წელს მიღწეული პირის მოთხოვნით მიაწოდოს მას მისი ბიოგრაფიული მონაცემები, აგრეთვე მისი ბიოლოგიური მშობლის (მშობლების) შესახებ ინფორმაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში, “შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ” საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. ბიოლოგიური მშობლის ან/და მშვილებლის გარდაცვალების

შემთხვევაში, გარდაცვლილი პირის მიმართ არ მოქმედებს “შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ” საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები.

5. სააგენტო ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული ინფორმაციის შენახვა.

6. სააგენტოს გარდა, ყველა სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირს ეკრძალება ნებისმიერი ქმედება, მათ შორის, წინასწარი საქმიანობა (გარიგება) კონკრეტული ბავშვის ბიოლოგიურ მშობელს, კანონიერ წარმომადგენელს ან/და ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს შორის, ან ასეთი საქმიანობისათვის (გარიგებისათვის) ხელის შეწყობა შვილად აყვანის მიზნით. ამასთანავე, დაშვებულია შვილად აყვანის დროს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ადვოკატის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ იურიდიული მომსახურების გაწევა, ხოლო საერთაშორისო გაშვილების დროს – მიმღები ქვეყნის შვილად აყვანის საქმეებზე უფლებამოსილი ორგანოს, მისი არარსებობის შემთხვევაში კი – სხვა შესაბამისი აკრედიტებული იურიდიული პირის მიერ მომსახურების გაწევა.

7. მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო:

ა) შვილად აყვანის პროცედურის განხორციელების ყველა ეტაპზე არის გასაშვილებელი ბავშვის წარმომადგენელი;

ბ) ახორციელებს მშვილებლისა და გასაშვილებელი ბავშვის შეფასებას;

გ) ახორციელებს მშვილებლისა და გასაშვილებელი ბავშვის თავსებადობის შეფასებას, თავსებადობის შემდეგი ნეგატიური კრიტერიუმების გათვალისწინებით:

გ.ა) მშვილებელსა და გასაშვილებელ ბავშვს შორის ასაკობრივი სხვაობა 16 წელზე ნაკლებია (ეს შეზღუდვა არ მოქმედებს დედინაცვლის/მამინაცვლის მიერ ბავშვის შვილად აყვანის დროს, ასევე საპატიო მიზეზის არსებობისას _ სასამართლოს გადაწყვეტილებით);

გ.ბ) ბავშვი, თუ მან მიაღწია 10 წელს, არ ეთანხმება შვილად აყვანას;

გ.გ) მშვილებელი და გასაშვილებელი ბავშვი განსხვავებული რელიგიური კუთვნილების არიან;

დ) შეიმუშავეს ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმას და ახორციელებს ამ გეგმის შესრულების მონიტორინგს;

ე) საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, შვილად აყვანის საკითხებზე ატარებს კონსულტაციებს;

ვ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

8. შვილად აყვანის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების გამომტანი ორგანოა სასამართლო.

თავი II. გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელ ოჯახთა/პირთა აღრიცხვა და რეესტრის წარმოების წესი

მუხლი 4. გასაშვილებელ ბავშვთა აღრიცხვა

1. გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი ენიჭება 18 წლამდე პირს:
 - ა) რომლის მშობელიც (მშობლებიც) სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;
 - ბ) რომელიც არის ობოლი;
 - გ) რომელიც აღიარებულია მიტოვებულ ბავშვად;
 - დ) რომლის მშობელსაც (მშობლებსაც) ჩამოერთვა (ჩამოერთვათ) მშობლის უფლება;
 - ე) რომლის ყველა კანონიერმა წარმომადგენელმა თანხმობა განაცხადა მის გაშვილებაზე _ ბავშვის გაშვილებაზე თანხმობის და მიტოვების შესახებ განაცხადის ფორმის (დანართი N2) შევსებით.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ სააგენტოს უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს ბავშვისათვის გასაშვილებელი სტატუსის მინიჭებისათვის საჭირო დოკუმენტების შეგროვებას.
3. პირს გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი ენიჭება მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს გადაწყვეტილებით, რის შემდეგაც გასაშვილებელი ბავშვის შესახებ მონაცემები აღირიცხება რეესტრში.

მუხლი 5. ბავშვის გაშვილებაზე თანხმობა და ბავშვის მიტოვება

1. ბავშვის მიტოვების ან ბავშვის გაშვილების მსურველი მშობელი (მშობლები) რეგისტრაციის ან ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მიმართავს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოს.
2. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია კონსულტაცია გაუწიოს მშობელს მშობლის უფლება-მოვალეობებისა და ბავშვის მიტოვების ან ბავშვის გაშვილების შედეგების თაობაზე.
3. თუ მშობელი არ ცვლის ბავშვის მიტოვების ან ბავშვის გაშვილების თაობაზე გადაწყვეტილებას, იგი ავსებს ბავშვის გაშვილებაზე თანხმობის და ბავშვის მიტოვების ფორმის განაცხადს (დანართი N3).
4. ბავშვის მიტოვებულად აღიარება ხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ:
 - ა) ნაპოვნი ბავშვის აღმოჩენიდან 6 კვირის ვადაში შესაბამისმა ორგანოებმა ვერ დაადგინეს ბავშვის ან/და მისი მშობლის (მშობლების) ვინაობა;
 - ბ) დადგინდა ნაპოვნი ბავშვის ან/და მისი მშობლის (მშობლების) ვინაობა, მაგრამ 7 დღის ვადაში ვერ ხერხდება მშობლის (მშობლების) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში წარდგენა ან მასთან (მათთან) სხვაგვარად დაკავშირება ან/და ის (ისინი) თავს არიდებს (არიდებენ) მშობლის მოვალეობების შესრულებას და უფლებების განხორციელებას;
 - გ) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ მშობლისათვის (მშობლებისათვის) შეთავაზებული პრევენციის (სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ბავშვთა ხელოვნური კვებით და ლოგინით, შესაბამისი პირობების არსებობისას _ საარსებო შემწეობით, ჯანმრთელობის დაზღვევით ან/და დღის ცენტრის

მომსახურებით უზრუნველყოფა ან/და სხვა, რომელიც ფინანსდება სხვა წყაროებით) ან რეინტეგრაციის (სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული რეინტეგრაციის შემწეობით, ჯანმრთელობის დაზღვევით, დღის ცენტრის მომსახურებით უზრუნველყოფა ან/და სხვა, რომელიც ფინანსდება სხვა წყაროებით) ღონისძიებების მიუხედავად, მშობელმა (მშობლებმა) ბავშვი მიატოვა (მიატოვეს) ან განაცხადა (განაცხადეს) მისი მიტოვების თაობაზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5. მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო, ბავშვის შემდგომი განთავსების მიზნით, იღებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს.

მუხლი 6. მშვილბელ ოჯახთა/პირთა აღრიცხვა

1. პირი, რომელსაც სურს შვილად აიყვანოს ბავშვი, ბავშვის შვილად აყვანის მსურველ პირთა განცხადების შევსებულ ფორმას (დანართი N3) წარუდგენს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოს რეგისტრაციის ან ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით .

2. ამ მუხლის პირველი პუნქტი არ ვრცელდება საერთაშორისო გაშვილების შემთხვევებზე.

3. განცხადების მიღებიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა სოციალური მუშაკი, ახორციელებს ბავშვის შვილად აყვანის მსურველ ოჯახთა/პირთა პირველად შეფასებას და წერს დასკვნას.

4. თუ პირველადი შეფასება უარყოფითია, სოციალური მუშაკის დასკვნის შესაბამისად მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას მშვილბელ ოჯახთა/პირთა აღრიცხვაზე უარის თქმის თაობაზე.

5. თუ პირველადი შეფასება დადებითია, სოციალური მუშაკი არაუმეტეს 15 სამუშაო დღის განმავლობაში, ამზადებს ოჯახის/პირის სრულ შეფასებას და მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოსათვის წარსადგენ დასკვნას.

5. თუ სრული შეფასება დადებითია, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ბავშვის შვილად აყვანის მსურველი ოჯახის/პირის რეესტრში აღრიცხვაზე აყვანის თაობაზე.

6. მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება 5 სამუშაო დღის განმავლობაში წერილობითი ფორმით უნდა ეცნობოს განმცხადებელს.

7. “შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ” საქართველოს კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული გასაშვილებელი ბავშვის შვილად აყვანის უპირატესი უფლების მქონე პირებზე შვილად აყვანის პროცედურების განხორციელების დროს არ მოქმედებს რიგითობის პრინციპი. ამ შემთხვევაში, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო ხელმძღვანელობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ” საქართველოს კანონითა და ამ პროცედურებით.

8. მშვილბელი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე და საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე ნებისმიერი სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირი, გარდა იმ პირისა:

ა) რომელსაც ჩამოერთვა მშობლის უფლება ან ადრე ჰყავდა შვილად აყვანილი პირი, იყო არასრულწლოვანი პირის მეურვე/მზრუნველი ან მინდობით აღსაზრდელად გადაცემული ჰყავდა პირი, მაგრამ ეს ურთიერთობა გაუქმდა მის მიერ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულების გამო;

ბ) რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეზღუდული აქვს მშობლის უფლება;

გ) რომელსაც აღენიშნება შემდეგი დაავადებები:

გ.ა) ტუბერკულოზი (აქტიური და ქრონიკული) ნებისმიერი ლოკალიზაციის;

გ.ბ) შინაგანი ორგანოების დაავადებები დეკომპენსაციის სტადიაში;

გ.გ) ნერვული სისტემის, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის მყარი, მნიშვნელოვნად გამოხატული დაავადებები და დაზიანებები, რაც გამოიწვევს მოძრაობასა და კოორდინაციის მნიშვნელოვან დარღვევას;

გ.დ) ნებისმიერი ლოკალიზაციის ავთვისებიანი, ონკოლოგიური დაავადებები;

გ.ე) ნარკომანია, ტოქსიკომანია, ალკოჰოლიზმი;

გ.ვ) ინფექციური დაავადებები მათი დისპანსერული აღრიცხვიდან მოხმნამდე;

გ.ზ) ფსიქიკური დაავადებები, რომლის დროსაც ავადმყოფი, არსებული წესების გათვალისწინებით მიჩნეულია ქმედუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად;

გ.თ) ყველა დაავადება და ტრამვა, რომელმაც გამოიწვია მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭება, რომელიც ახდენს გავლენას ბავშვის სრულფასოვან აღზრდა-განვითარებაზე.

დ) რომელსაც სასამართლომ მსჯავრი დასდო მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის და ნასამართლობა არა აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) რომელიც ნასამართლევია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXIV თავით გათვალისწინებული დანაშაულისათვის და ნასამართლობა არა აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. რეესტრის სუბიექტები და მათი მონაცემები

1. რეესტრის სუბიექტები არიან:

ა) მშვილბეელი ოჯახი/პირი;

ბ) გასაშვილებელი ბავშვი.

2. რეესტრი შედგება გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილბეელი ოჯახის/პირის ბიოგრაფიული, სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემებისგან.

3. რეესტრში დაცულია მშვილბეელი ოჯახის წარმომადგენლების/პირის შემდეგი მონაცემები:

ა) სახელი;

ბ) გვარი;

გ) პირადი ნომერი;

დ) დაბადების თარიღი და ადგილი;

- ე) სქესი;
- ვ) მოქალაქეობა;
- ზ) ოჯახური მდგომარეობა;
- თ) ნასამართლობა;
- ი) ინფორმაცია ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ (შემოსავლები, ქონება);
- კ) საცხოვრებელი ადგილის მისამართი და საკონტაქტო მონაცემები;
- ლ) ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- მ) შვილად ასაყვანად სასურველი ბავშვის მონაცემები (სქესი, ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ეროვნება).

4. რეესტრში დაცულია გასაშვილებელი ბავშვის შემდეგი მონაცემები:

- ა) სახელი;
- ბ) გვარი;
- გ) პირადი ნომერი;
- დ) დაბადების თარიღი და ადგილი;
- ე) სქესი;
- ვ) მოქალაქეობა;
- ზ) საცხოვრებელი ადგილი და საკონტაქტო მონაცემები;
- თ) ბიოლოგიური მშობლის/მშობლების მონაცემები;
- ი) მეურვის ან მზრუნველის მონაცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- კ) ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- ლ) გასაშვილებელი სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების რეკვიზიტები (გადაწყვეტილების მიმღები ერთეული, ნომერი და თარიღი).

მუხლი 8. რეესტრში აღრიცხვასთან დაკავშირებული დოკუმენტები

1. რეესტრში აღრიცხული გასაშვილებელი ბავშვის საქმეში ინახება შემდეგი დოკუმენტები:

- ა) პირადობის დამადასტურებელი საბუთი (დაბადების მოწმობა, პირადობის მოწმობა, პასპორტი) ან მისი ასლი;
- ბ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (სამედიცინო დოკუმენტაცია NIV-100/ა);
- გ) სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება (ბავშვის მიტოვებულად აღიარების შესახებ; ბიოლოგიური მშობლ(ებ)ის უფლების ჩამორთმევის, გარდაცვლილად გამოცხადების, უგზო-უკვლოდ და ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ);
- დ) ბავშვის ბიოლოგიური მშობლის (მშობლების) და მეურვის/მზრუნველის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის (პირადობის (ბინადრობის) მოწმობა, პასპორტი) ასლ(ებ)ი ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ე) გასაშვილებელ ბავშვთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია.

მუხლი 9. რეესტრის წარმოების ფორმა

1. რეესტრში მონაცემთა დამუშავება ხორციელდება ავტომატური (ელექტრონული) და არაავტომატური (დოკუმენტური) ფორმით.

2. მშვილბელი ოჯახის/პირის და გასაშვილბელი ბავშვის მონაცემბი ელექტრონულად აღირიცხება სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად.

3. ამ წესის მე-8 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების შენახვა ხდება დოკუმენტური ფორმით.

მუხლი 10. რეესტრის მონაცემთა დაცვა

1. რეესტრში აღრიცხულ პირებთან დაკავშირებული ბიოგრაფიული, სოციალური, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემბი კონფიდენციალურია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. მშვილბელ პირს უფლება აქვს მიიღოს შეთავაზებული გასაშვილბელი ბავშვის ბიოგრაფიული, სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემბი.

3. გასაშვილბელ ბავშვს ან/და მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მოითხოვოს ბავშვის შესახებ რეესტრში არსებული ბიოგრაფიული, სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემბი.

მუხლი 11. რეესტრიდან გასაშვილბელი ბავშვის ან მშვილბელი ოჯახის/პირის მოხსნა

1. რეესტრის აღრიცხვიდან გასაშვილბელი ბავშვი მოიხსნება:

- ა) გაშვილების შემთხვევაში;
- ბ) გარდაცვალების შემთხვევაში;
- გ) სტატუსის შეცვლის შემთხვევაში;
- დ) სრულწლოვანების მიღწევის შემთხვევაში.

2. რეესტრის აღრიცხვიდან მშვილბელი ოჯახი/პირი მოიხსნება:

- ა) პირადი განცხადებით;
- ბ) შვილად აყვანაზე განცხადების დაკმაყოფილების საფუძველზე;
- გ) გარდაცვალებისას;
- დ) თუ მშვილბელი ოჯახი/პირი ვერ აკმაყოფილებს რეესტრში

აღრიცხვისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

3. რეესტრიის აღრიცხვიდან ბავშვის, მშვილბელი ოჯახის/პირის მოხსნაზე გადაწყვეტილებას იღებს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო, თუ ამ წესით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 12. რეესტრში მონაცემთა შენახვის ვადები და პროცედურები

1. გასაშვილბელი ბავშვის მონაცემბი, მისი რეესტრიდან ამ წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის “ბ”, “გ” და “დ” ქვეპუნქტების საფუძველზე მოხსნის შემთხვევაში ნადგურდება რეესტრიდან მოხსნიდან ერთი წლის შემდეგ.

2. გასაშვილებელი ბავშვის და მშვილებელი ოჯახის/პირის მონაცემები, მისი რეესტრიდან ამ წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოხსნის შემთხვევაში სააგენტოს მიერ ინახება 50 წლის ვადით.

3. მშვილებელი ოჯახის/პირის რეესტრში აღრიცხული ყველა მონაცემი სტატუსის მოხსნისას, გარდა მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისას, ნადგურდება რეესტრიდან მოხსნიდან ერთი წლის შემდეგ.

4. ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ფორმდება აქტი, რომელშიც აისახება მონაცემთა განადგურების ფაქტი.

5. სააგენტოში არაავტომატური ან/და ავტომატური ფორმით არსებული მონაცემები ინახება უფლებამოსილ პირთან. არსებული გადაწყვეტილებები/დასკვნები და მე-8 მუხლით გათვალისწინებული სხვა საბუთები ინახება 15 წლის ვადით.

თავი III. მშვილებელი ოჯახისთვის/პირისთვის გასაშვილებელი ბავშვის შეთავაზება და შვილად აყვანის შესახებ დასკვნის მომზადება

მუხლი 13. მშვილებელი ოჯახისათვის/პირისათვის ბავშვის შეთავაზება

1. მშვილებელი ოჯახისათვის/პირისთვის გასაშვილებელი ბავშვის შეთავაზება ხდება რეესტრში არსებული რიგითობის, ბავშვის შესახებ მშვილებლების განცხადებაში მითითებული მონაცემების მოთხოვნათა შესაბამისად და ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. შვილად აყვანის უპირატესი უფლების მქონე პირების მიმართ არ მოქმედებს რიგითობის პრინციპი.

2. შერჩეული მშვილებელი ოჯახის/პირის მიერ ბავშვის მონახულების სურვილის შემთხვევაში, მონახულება უნდა განხორციელდეს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს წერილობითი მიმართვის საფუძველზე. აღნიშნული წერილობითი მიმართვა სავალდებულოა შესასრულებლად იმ პირისათვის, სადაც ბავშვია განთავსებული.

3. მშვილებელს (მშვილებლებს) უფლება აქვს შეთავაზებულ ბავშვს ჩაუტაროს სამედიცინო შემოწმება კანონიერი წარმომადგენლის თანხლებით.

4. ბავშვის შეთავაზებიდან არა უგვიანეს 7 სამუშაო დღისა მშვილებელი ოჯახი/პირი იღებს გადაწყვეტილებას ბავშვის შვილად აყვანის შესახებ და წერილობით აცნობებს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს. აღნიშნული ვადის გადაცილება ჩაითვლება შეთავაზებული ბავშვის აყვანაზე უარის თქმად.

5. შეთავაზებულ ბავშვზე მშვილებლის მიერ უარის თქმის შემთხვევაში, მშვილებელი ინარჩუნებს არსებულ რიგითობას და მას უნდა შესთავაზონ სხვა ბავშვი მის მიერ განცხადებაში მითითებული მონაცემების მოთხოვნათა შესაბამისად, ხოლო ბავშვი უნდა შესთავაზონ სხვა მშვილებელს დადგენილი წესით.

მუხლი 14. შვილად აყვანის უპირატესი უფლება

1. გასაშვილებელი ბავშვის შვილად აყვანის უპირატესი უფლება აქვს მის ნათესავს. ამ შემთხვევაში ნათესავად ითვლება პირი, რომლისთვისაც გასაშვილებელი ბავშვი არის და, ძმა, შვილიშვილი, დისშვილი, ძმისშვილი, გერი ძმის შვილი, გერი დის შვილი, ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი, ბიძა, დეიდა, მამიდა ან რომელიმე მათგანის შვილი, გერი. შვილად აყვანის უპირატესი უფლება აქვს ასევე მიმღებ ოჯახს – დედობილს ან/და მამობილს – ბავშვის მინდობით აღსაზრდელად გადაცემიდან არა უადრეს 6 თვისა. შვილად აყვანის უპირატესი უფლებით სარგებლობს ასევე ის მშვილებელი, რომელსაც უკვე ჰყავს შვილად აყვანილი გასაშვილებელი ბავშვის და ან/და ძმა. შვილად აყვანის უპირატესი უფლება აგრეთვე გამოიყენება შვილად აყვანის თაობაზე ბავშვის ბიოლოგიური მშობლისა (მშობლებისა) და მშვილებლის მიერ სააგენტოსთვის ერთობლივი მიმართვის შემთხვევაში, რა დროსაც დაცული უნდა იქნეს “შვილად აყვანის და მინდობით აღზრდის შესახებ” საქართველოს კანონით და ამ წესით გათვალისწინებული შვილად აყვანის პირობები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შვილად აყვანის უპირატესი უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირს, უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც არის გასაშვილებელი ბავშვის ნათესავი ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ პირთა წრის ფარგლებში.

მუხლი 15. შვილად აყვანის შესახებ დასკვნა

1. შეთავაზებულ ბავშვზე მშვილებლის თანხმობისას მშვილებელი ვალდებულია მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოს წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) მეუღლის თანხმობა, თუ ბავშვი შვილად აჰყავს ერთ-ერთ მეუღლეს;
- ბ) პირადობის დამადასტურებელი საბუთი (პირადობის მოწმობა, პასპორტი, ბინადრობის მოწმობა) და მისი ასლი;
- გ) ქორწინების მოწმობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასლი;
- დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა NIV-100/ა);
- ე) ცნობა სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ, თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა არ შეიცავს მონაცემებს ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;
- ვ) ცნობა ნასამართლობის შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტით განსაზღვრული საბუთის დედანი უბრუნდება მფლობელს წარმოდგენისთანავე.

3. თუ მშვილებელი გასაშვილებელი ბავშვის ნათესავია, მან დამატებით უნდა წარმოადგინოს ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. მშვილებელი ოჯახის/პირის მიერ შეთავაზებული ბავშვის შვილად აყვანაზე თანხმობის შემთხვევაში, მშვილებელი ოჯახის/პირისა და შეთავაზებული ბავშვის თავსებადობის შეფასებას 10 სამუშაო დღის ვადაში ახდენს სოციალური მუშაკი

ბავშვისა და მშვილელის შესახებ არსებული შეფასებებისა და დასკვნების საფუძველზე ამ წესის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის “გ” ქვეპუნქტისა და იმის გათვალისწინებით, რომ დაუშვებელია და-ძმის, დების ან/და ძმების დაშორება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს შეესაბამება მათ ინტერესებს.

5. შვილად აყვანის შესახებ დასკვნაში აღინიშნება:

ა) მშვილელის ბიოგრაფიული მონაცემები, პიროვნული თვისებები, სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა, ბავშვის შვილად აყვანის მოტივი;

ბ) გასაშვილებელი ბავშვის ბიოგრაფიული მონაცემები, პიროვნული თვისებები, სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა.

6. საჭიროების შემთხვევაში შვილად აყვანის შესახებ დასკვნა უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის ეთნიკური და კულტურული გარემოს გათვალისწინებით აღზრდის შესაძლებლობას.

7. ბავშვის საქართველოს ტერიტორიაზე გაშვილების შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ მომზადებული დასკვნა, თანდართულ საბუთებთან ერთად შვილად აყვანის შესახებ მომზადებიდან 1 კვირის ვადაში წარედგინება შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს.

8. საერთაშორისო გაშვილების შემთხვევაში სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნა შვილად აყვანის შესახებ მომზადებიდან 1 კვირის ვადაში წარედგინება შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს.

თავი III. საერთაშორისო გაშვილება

მუხლი 16. მიმღებ სახელმწიფოებთან ურთიერთობა

საერთაშორისო გაშვილებისას საქართველო ხელმძღვანელობს „ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ ჰააგის კონვენციით ან აღნიშნული კონვენციის არაწევრ ქვეყანასთან დადებული სპეციალური ხელშეკრულებით (დანართი N5).

მუხლი 17. უცხო ქვეყნის მოქალაქის/მოქალაქეების მშვილელელ პირად/პირებად აღრიცხვა

1. უცხოელი მოქალაქის ან მისი წარმომადგენლის მომართვაში მითითებული უნდა იყოს შვილად ასაყვანი ბავშვის სქესი, ასაკი, რელიგია, წარმომავლობა, ეროვნება, ჯანმრთელობის მდგომარეობა და თან უნდა ახლდეს ამ წესის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები, ასევე მიმღები ქვეყნის შვილად აყვანის საქმეებზე მომუშავე უფლებამოსილი ორგანოს მიერ ჩატარებული მშვილელელი ოჯახის კვლევა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები უნდა იყოს აპოსტილით დამოწმებული ან ლეგალიზებული, ქართულ ენაზე თარგმნილი და სანოტარო წესით დამოწმებული.

3. უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოდან ბავშვის შვილად აყვანა შეიძლება, თუ მშვილებელი აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და აღრიცხულია რეესტრში.

4. წარმოდგენილი საბუთები განიხილება მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, რის შემდეგაც მიიღება გადაწყვეტილება მშვილებელის აღრიცხვაზე აყვანის შესახებ. გადაწყვეტილების თაობაზე მშვილებელს ეცნობება დაუყოვნებლივ.

მუხლი 18. ბავშვის შეთავაზება და სააგენტოს დასკვნა

1. საქართველოდან უცხო ქვეყანაში ბავშვის გაშვილება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება ან მისი შვილად აყვანა საქართველოს მოქალაქის ან/და საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ.

2. უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოდან შეუძლია იშვილოს რეესტრში აღრიცხვაზე მყოფი, გასაშვილებელი ბავშვის სტატუსის მქონე პირი, რომელიც რეესტრში აღრიცხვაზე აყვანიდან 8 თვეში ვერ აიყვანა შვილად საქართველოს მოქალაქემ და საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირმა. ამ შემთხვევაში სააგენტო ატარებს კვლევას, რომლის საფუძველზე მომზადებულ დასკვნაშიც უნდა აღინიშნოს მიზეზები, რომელთა გამოც საქართველოში ვერ მოინახა ამ ბავშვისათვის მშვილებელი. ჩატარებული კვლევის საფუძველზე სააგენტო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით იწყებს მისი უცხო ქვეყანაში გაშვილების პროცედურას.

3. ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით შესაძლებელია ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული ვადა შეამციროს სასამართლომ.

4. თუ სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში უცხოელი მშვილებელი შეთავაზებული ბავშვის შვილად აყვანაზე არ განაცხადებს წერილობით თანხმობას, სააგენტოს მიერ მოხდება გასაშვილებელი ბავშვის სხვა მშვილებელ პირზე/პირებზე შეთავაზება და მას უნდა შესთავაზონ სხვა ბავშვი დადგენილი წესით.

5. საქართველოდან უცხო ქვეყანაში ბავშვის გასაშვილებლად სავალდებულოა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენა, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა.

6. სააგენტო სასამართლოში წარსადგენ დასკვნას ამზადებს გასაშვილებელ ბავშვის მონაცემებისა და უცხო ქვეყნის მშვილებლის/მშვილებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე.

7. უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოდან ბავშვის შვილად აყვანის ფაქტის შესახებ ინფორმაციას სააგენტო აწვდის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

მუხლი 19. საქართველოს მოქალაქის მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქე ან უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე ბავშვის შვილად აყვანა

1. უცხო ქვეყნის მოქალაქეობის ან უცხო ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე ბავშვის შვილად აყვანის მსურველი მშვილებლის შესახებ

სააგენტოში არსებული საბუთები ეგზავნება საერთაშორისო გაშვილების განმახორციელებელ ოფიციალურ ორგანოს, ბავშვის წარმომობის სახელმწიფოში. აღნიშნული საბუთები შეიძლება ხელზე მიეცეს მშვილებელს ბავშვის წარმომობის ქვეყანაში წარსადგენად.

2. საბუთების თარგმნისა და სათანადოდ დამოწმების ხარჯები ეკისრება მშვილებელს.

3. შვილად აყვანის შემდგომი პროცედურები რეგულირდება ბავშვის წარმომობი ქვეყნის კანონმდებლობით.

|

დანართი N2

განცხადება

ბავშვის გაშვილებაზე თანხმობის და ბავშვის მიტოვების შესახებ

1. ბავშვის მონაცემები

სახელი ----- გვარი -----
დაბადების თარიღი (რიცხვი,თვე,წელი) -----
პირადი ნომერი (არსებობის შემთხვევაში) -----
დაბადების მოწმობის ნომერი და სერია -----
ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი -----

2. ბავშვის დედის მონაცემები

სახელი -----
გვარი -----
დაბადების თარიღი (რიცხვი,თვე,წელი) -----
პირადი ნომერი (არსებობის შემთხვევაში) -----
ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი -----
ტელეფონი ----- ელ-ფოსტა-----

3. ბავშვის მამის მონაცემები

სახელი -----
გვარი -----
დაბადების თარიღი (რიცხვი,თვე,წელი) -----
პირადი ნომერი (არსებობის შემთხვევაში) -----
ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი -----
ტელეფონი ----- ელ-ფოსტა-----

4. ბავშვის გაშვილებისათვის სასურველ მშვილებელი¹

ვიყენებ რა „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებულ უფლებას, გამოვხატავ სურვილს ბავშვი გაშვილებული იქნას შემდეგი პირის ოჯახში:

სახელი -----
გვარი -----
დაბადების თარიღი (რიცხვი,თვე,წელი) -----
პირადი ნომერი (არსებობის შემთხვევაში) -----
ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი -----
ტელეფონი ----- ელ-ფოსტა-----
კავშირი მშვილელელ პირთან² -----

ვადასტურებ რომ:

- გაცნობილი ვარ ჩემი, როგორც მშობლის უფლებებსა და მოვალეობებს, მათ შორის იმ უფლება-მოვალეობებს, რომლებიც წარმოიშვება ბავშვის გაშვილების/მიტოვების პროცესში;
- ინფორმირებული ვარ იმ შედეგების შესახებ რომლებიც დაგება ბავშვის გაშვილების/მიტოვების შემდგომ;
- მიუხედავად სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული პრევენციული ან/და რეინტეგრაციის ღონისძიებებისა, მე, ჩემი ნებით, იძულების, ძალდატანების გარეშე, თანახმა ვარ ბავშვის გაშვილებაზე/მიტოვებაზე;
- თანახმა ვარ ბავშვის გაშვილებაზე/მიტოვებაზე, რომლის ძალითაც მერთმევა მშობლის უფლება-მოვალეობები ამ შვილთან მიმართებაში;
- გაცნობიერებული მაქვს, ის რომ ბავშვის გაშვილება წარმოშობს მშვილელელსა და ბავშვს შორის მშობლისა და შვილის მუდმივ ურთიერთობას;
- ინფორმირებული ვარ, რომ შემიძლია უარი ვთქვა ბავშვის გაშვილებაზე სასამართლოს მიერ შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე;
- ჩემს მიერ შევსებული ფორმის შინაარსი შეესაბამება სინამდვილეს და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო უფლებამოსილია გადაამოწმოს მითითებული ინფორმაცია.

უფლებამოსილ პირთან კონსულტაციისა და ზემოთ მოყვანილი მშობლის უფლება-მოვალეობებისა და გაშვილების შედეგების გაცნობის შემდეგ, ვინაიდან არ შეეცვალა ჩემს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ხელს ვაწერ ფორმას.

¹ ივსება მხოლოდ უფლების გამოყენების შემთხვევაში

² ინფორმაცია შვილად აყვან პირთან/პირებთან სამართლებრივი (ნათესაური) და არასამართლებრივი ურთიერთობის შესახებ (გრაფის შევსება სავალდებულოა)

დედის ხელმოწერა

მამის ხელმოწერა

თარიღი ----- თარიღი -----

5. ინფორმაცია მოწმის, თარჯიმნის, ექსპერტის მონაწილეობის შესახებ ³

სახელი -----
გვარი -----
დაბადების თარიღი (რიცხვი,თვე,წელი) -----
პირადი ნომერი (არსებობის შემთხვევაში) -----
ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი -----
ტელეფონი ----- ელ-ფოსტა-----

გარემოება, რომელმაც განაპირობა მოწმის, თარჯიმნის, ექსპერტის ან სხვა უფლებამოსილი მონაწილე პირის მონაწილეობა -----

მოწმის, თარჯიმნის, ექსპერტის ან სხვა უფლებამოსილი მონაწილე პირის მოქმედებათა მოკლე აღწერა ⁴ -----

6. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დადასტურება

ვადასტურებ, რომ წინამდებარე ფორმაში მითითებულმა განმცხადებელმა მოწმის (მოწმეების)⁵ მითითებულ დღეს მომმართეს მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს და ხელი მოაწერეს ჩვენი თანდასწრებით ამ ფორმას.

სახელი და გვარი: -----
თანამდებობა: -----
ხელმოწერა: -----
თარიღი: -----

ბეჭდის ადგილი

³ ივსება იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი არის არასრულწლოვანი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ან წერა-კითხვის უნარის არ მქონე პირი ან არ ფლობს ქართულ ენას და სხვა

⁴ ივსება მოწმის, თარჯიმნის ან ექსპერტის მიერ

⁵ ასეთის არსებობის შემთხვევაში

ბავშვის შვილად აყვანის მსურველ პირთა განცხადების ფორმა

1) განმცხადებელი

„ა“ – აღნიშნულ გრაფებში მიეთითება განმცხადებელი ქალბატონის მონაცემები;

„ბ“ – აღნიშნულ გრაფებში მიეთითება განმცხადებელი ბატონის მონაცემები;*

*ერთობლივი განცხადება ივსება მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირების მიერ!

სახელი, გვარი და დაბადების თარიღი

ა) _____

ბ) _____

მოქალაქეობრივი კუთვნილება და პირადი ნომერი

ა) _____

ბ) _____

რეგისტრაციის მისამართი (სრული)

ა) _____

ბ) _____

ფაქტობრივი მისამართი _____

საკონტაქტო

ინფორმაცია

განათლება და სპეციალობა

ა) _____

ბ) _____

სამუშაო ადგილი და თანამდებობა

(არსებობის შემთხვევაში)

ა) _____

ბ) _____

2) შემოსავლის ოდენობა და შემოსავლის წყარო

3) ჯანმრთელობის მდგომარეობა

ა) _____;

ბ)

დაავადებათა არსებობის შემთხვევაში გთხოვთ მონიშნოთ:

- ტუბერკულოზი (აქტიური და ქრონიკული) ნებისმიერი ლოკალიზაციის;
- შინაგანი ორგანოების დაავადებები დეკომპენსაციის სტადიაში;
- ნერვულ სისტემის, საყრდენ–მამოძრავებელი აპარატის მყარი, მნიშვნელოვანად გამოხატული დაავადებები და დაზიანებები, რაც იწვევს მოძრაობასა და კოორდინაციის მნიშვნელოვან დარღვევას;
- ნებისმიერი ლოკალიზაციის ავთვისებიანი, ონკოლოგიური დაავადებები;
- ნარკომანია, ტოქსიკომანია, ალკოჰოლიზმი;
- ინფექციური დაავადებები (მათი დისპანსერული აღრიცხვიდან მოხსნამდე);
- ფსიქიკური დაავადებები (რომლის დროსაც ავადმყოფი მიჩნეულია ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად);
- ყველა დაავადება და ტრამვა, რომელმაც გამოიწვია მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭება.

4) ნასამართლეობა

ხართ თუ არა ნასამართლელი? (ნასამართლომ მსჯავრი დაგდოთ დანაშაულისთვის და ნასამართლეობა არ არის მოხსნილი ან გაქარწყლებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით)

დიახ*

არა

*დადებითი პასუხის შემთხვევაში დააკონკრეტეთ!

9) გთხოვთ მიუთითოთ მონაცემები თქვენს სახლში მცხოვრები პირების შესახებ (18 წლის ზემოთ)

N	სახელი, გვარი	დაბ. თარიღი	კავშირი განმცხადებელთან	პირ. მოწმობის N
1				
2				
3				

10) გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ნასამართლეობის შესახებ

11) გთხოვთ აღნიშნოთ, თანახმაა თუ არა ოჯახის ყველა წევრი ბავშვის შვილად აყვანაზე

დიახ; არა;
უარყოფითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ დააკონკრეტოთ

12) მიუთითეთ რეკომენდაციის მომცემი ორი პიროვნების სახელი და გვარი, მისამართი და ტელეფონის ნომერი:

- 1.
- 2.

13) გთხოვთ, აღნიშნოთ, რატომ გადაწყვიტეთ შვილად აყვანა;

14) გთხოვთ, მიუთითონ თქვენთვის სასურველი და მისაღები ბავშვის:

ა) სქესი

მდედრობითი; მამრობითი; სქესს არ აქვს მნიშვნელობა;

ბ) ასაკობრივი მდგომარეობა

* ასაკობრივი ფარგლები _____; ასაკს არ აქვს მნიშვნელობა;

*ასაკობრივი ფარგლები მიეთითება წლებისა და თვეების მიხედვით!

გ) ჯანმრთელობის მდგომარეობა*

ჯანმრთელი; მეტ-ნაკლები სირთულეების მქონე;

დაავადებული; არა აქვს მნიშვნელობა;

*შესაძლებელია მიეთითოს რამოდენიმე ვარიანტი!

დ) სურვილის შემთხვევაში მიუთითეთ რელიგიური და ეთნიკური კუთვნილების შესახებ

15) მზად ვარ შვილად ავიყვანო;*

მხოლოდ ერთი ბავშვი

ორი ან მეტი ბავშვი

- ტყუპები
დედმამიშვილები

*შესაძლებელია მიეთითოს რამოდენიმე ვარიანტი!

16) ნათესაური შვილად აყვანის განხორციელების სურვილის შემთხვევაში, მიუთითეთ შვილად ასაყვანი ბავშვის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ნათესაური კავშირის სახე

- უარი;

17) ხართ თუ არა დარეგისტრირებული მიმღებ მშობლად (მინდობით აღზრდა)?

- დიახ; არა;

18) თანახმა ხართ თუ არა შვილად აყვანაზე სხვა სახელმწიფოდან?

- დიახ*; არა;

*დადებითი პასუხის შემთხვევაში დააკონკრეტეთ სახელმწიფოები

19) თანხმა ვარ:

ა) გადამოწმდეს ანკეტაში მითითებულ მონაცემების ნამდვილობა (არასწორი მონაცემების განზრახ მოწოდების დადასტურების შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ბ) მოთხოვნის შემთხვევაში, გაცხადებაში მითითებული მონაცემის ნამდვილობა დავადასტურო შესაბამისი მტკიცებულებებით.

ვადასტურებ, რომ უფლებამოსილი პირის მიერ გამეწია კონსულტაცია შვილად აყვანის პროცედურებისა და მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების შესახებ

ხელმოწერა ა) _____;

ბ) _____

20) ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით მომანიჭოთ მშვილელის სტატუსი და დამარეგისტრიროთ „მშვილელელთა და გასაშვილებელ ზავშეთა ერთიან რეესტრში“.

განმცხადებლის ხელმოწერა:

ა) _____;

ბ) _____;

თარიღი:

დანართი N4

საქართველოდან გაშვილებული ზავშეთის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოწოდების სპეციალური ფორმა

1. ზავშეთის სახელი, გვარი, შვილად აყვანამდე _____

2. ზავშეთის სახელი, გვარი, შვილად აყვანის შემდეგ _____

3. დაბადების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი) _____

4. საქართველოში გაცემული დაბადების მოწმობის ნომერი ან ზავშეთის პირადი ნომერი

5. დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ან სრული დიაგნოზი (ძირითადი დაავადება, თანმხლები დაავადებები, გართულებები)

6. გადატანილი დაავადებები _____

7. მოკლე ანამნეზი

8. ჩატარებული დიაგნოსტიკური გამოკვლევები და კონსულტაციები (პედიატრი, ბავშვთა ნევროლოგი, ბავშვთა ქირურგი, ორთოპედ-ტრავმატოლოგი, ოტორინოლარინგოლოგი, ოფთალმოლოგი და სხვა)

9. ავადმყოფობის მიმდინარეობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) _____

10. გარდაცვალების შემთხვევაში სიკვდილის მიზეზის მითითება (ექსპერტის დასკვნა)

11. ჩატარებული მკურნალობა

12. ჩატარებული აცრები _____

13. მედიკამენტები, რომლებსაც იღებდა ან იღებს ბავშვი _____

14. ქირურგიული ჩარევები (მათ შორის, დაგეგმილი ქირურგიული ჩარევები) და გამოკვლევები

15. რეკომენდაციები _____

16. ფსიქომეტრული განვითარების შეფასება

17. კოგნიტური და ემოციონალური განვითარების შეფასება (უნარები, ჩვევები, მიდრეკილებები, ხასიათის თავისებურებები)

18. აქვს/ჰქონდა თუ არა ბავშვს ოჯახთან, საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, გარემოსთან ადაპტაციის პრობლემები და არსებობის შემთხვევაში მიუთითეთ ისინი

19. იღებს თუ არა განათლებას ბავშვი და რა სახის (მოსწავლე/სტუდენტის შემთხვევაში - იმ სასწავლო დაწესებულების/სკოლის დასახელება და კლასი/კურსი, სადაც იგი სწავლობს)

20. აქვს თუ არა ბავშვს პრობლემები სოციალურ, ენობრივ, ემოციონალურ საკითხებთან დაკავშირებით

21. აქვს თუ არა ინფორმაცია წარმოშობის ქვეყნის შესახებ (კულტურა, რელიგია, ენა, ტრადიციები)

22. აქვს თუ არა ინფორმაცია შვილად აყვანის შესახებ (პოზიტიურია თუ ნეგატიური), მისი შეხედულება ფაქტის მიმართ

23. ამ დოკუმენტის გამცემი ორგანოს დასახელება

24. მშვილბელი ქვეყნის ცენტრალური ორგანოს (ასეთი ორგანოს არარსებობის შემთხვევაში, გასაშვილბელ ქვეყანაში ლიცენზირებული ან/და აკრედიტებული შესაბამისი უფლებამოსილი ორგანიზაციის) პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა

25. ფორმის გაცემის თარიღი " _____ " _____ "

ბეჭდის ადგილი

შენიშვნა: უცხო ქვეყანაში გაშვილბებული ბავშვის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოწოდება სპეციალური ფორმის სახით ხდება საერთაშორისო გაშვილბების შემთხვევაში, მშვილბელი ქვეყნის ცენტრალური ორგანოს მიერ (ასეთი ორგანოს არარსებობის შემთხვევაში - გასაშვილბელ ქვეყანაში ლიცენზირებული ან/და აკრედიტებული შესაბამისი უფლებამოსილების ორგანიზაციის მიერ) ყოველწლიურად, სანამ გაშვილბებულ ბავშვს არ შეუსრულდება 18 წელი.

დანართი N5

მშვილბელი ქვეყნის ცენტრალურ ორგანოსთან (ასეთი ორგანოს არარსებობის შემთხვევაში – გასაშვილბელ ქვეყანაში ლიცენზირებულ ან/და აკრედიტებულ შესაბამის უფლებამოსილ ორგანიზაციასთან) დასადები სპეციალური ხელშეკრულების ფორმა

ხელშეკრულება საქართველოსა და ----- შორის

საერთაშორისო გაშვილბების სფეროში თანამშრომლობის შესახებ

ხელშემკვრელი მხარეები ითვალისწინებენ რა „ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილბების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ ჰააგის კონვენციის, „ბავშვის უფლებათა დაცვის შესახებ“ გაეროს კონვენციის მოთხოვნებს,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი _ სოციალური მომსახურების სააგენტო და ----- (შემდგომში ხელშემკვრელი მხარეები)

აღიარებენ, რომ ბავშვს მისი პიროვნების ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარებისათვის ესაჭიროება ოჯახის გარემოცვაში, ბედნიერების, სიყვარულისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში აღზრდა,

აღიარებენ, რომ თითოეული სახელმწიფო ვალდებულია პრიორიტეტულ ამოცანად დაისახოს სათანადო ზომების მიღება ბავშვის საკუთარ ოჯახში აღსაზრდელად და უზრუნველყოს ბავშვი, რომელიც მოკლებულია საკუთარი ოჯახის გარემოს ალტერნატიული ზრუნვით,

აღიარებენ, რომ საერთაშორისო გაშვილება ბავშვს ანიჭებს შესაძლებლობას ჰყავდეს მუდმივი ოჯახი, თუ ასეთი ოჯახი ვერ გამოიძებნა მისი წარმოშობის ქვეყანაში,

დარწმუნებულნი არიან, რომ საჭიროა ყველა ზომის გატარება იმისათვის, რომ საერთაშორისო გაშვილება მოხდეს ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით და მისი ძირითადი უფლებების დაცვით, რათა აცილებულ იქნას ბავშვის გატაცების, გაყიდვისა და ვაჭრობის ფაქტები,

სურთ, რომ მიიღონ ზომები რათა ბავშვის საერთაშორისო გაშვილება განხორციელდეს თითოეული ხელშემკვრელი მხარის ფუნდამენტური პრინციპებისა და ღირებულებების გათვალისწინებით, გაეროს ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის (1989 წლის 20 ნოემბერი) შესაბამისად,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I.

მოქმედების სფერო

მუხლი 1.

ეს ხელშეკრულება გამოიყენება, ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს (შემდგომში მიმღები სახელმწიფოს) მოქალაქის ან მიმღებ სახელმწიფოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არ მქონე პირის მიერ მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს (წარმოშობის სახელმწიფოს) არასრულწლოვანი მოქალაქის ან წარმოშობის სახელმწიფოში მუდმივად მცხოვრები არასრულწლოვანი ბავშვის შვილად აყვანის დროს.

თავი II.

საერთაშორისო გაშვილების პროცედურა

მუხლი 2.

პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოში და სურთ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში მუდმივად მცხოვრები ბავშვის შვილად აყვანა, მიმართავენ სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს (ასეთი ორგანოს არარსებობის შემთხვევაში – გასაშვილებელ ქვეყანაში ლიცენზირებულ ან/და აკრედიტებულ შესაბამის უფლებამოსილ ორგანიზაციას) (შემდგომში უფლებამოსილი ორგანო) მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და წარუდგენენ მას საჭირო საბუთებს.

მუხლი 3.

1. მშვილებელი ოჯახის/პირის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოს უფლებამოსილმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ:

ა) შვილად აყვანის მსურველი ოჯახი/პირი აკმაყოფილებდეს ბავშვის შვილად აყვანის მოთხოვნებს;

ბ) მათ გაეწიათ საჭირო კონსულტაცია შვილად აყვანასთან დაკავშირებით.

2. თუ მიმღები სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანო დარწმუნებულია იმაში, რომ განმცხადებლებს აქვთ შვილად აყვანის უფლება, იგი უგზავნის მოხსენებას წარმომშობის სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას შვილად აყვანის მსურველი ოჯახის/პირის შესახებ:

ა) სახელი და გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, პასპორტის მონაცემები, პროფესია, საცხოვრებელი ადგილი, მისამართი, ოჯახური მდგომარეობა;

ბ) შვილად აყვანის მსურველი ოჯახის/პირის (ფინანსური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სოციალური გარემო);

გ) შვილის აყვანის მოტივაცია;

დ) სასურველი ბავშვის მონაცემებს (სქესი, ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა მონაცემები).

3. მოხსენებას თან უნდა ახლდეს თარგმანი წარმომშობის სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე.

მუხლი 4.

1. წარმომშობის სახელმწიფო უნდა დარწმუნდეს, რომ:

ა) შესათავაზებელი ბავშვი წარმომშობის სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით ექვემდებარება გაშვილებას;

ბ) წარმომშობის სახელმწიფოში ბავშვის მოწყობის შესაძლებლობები გამოკვლეულ იქნა და მისი შედეგების მიხედვით საერთაშორისო გაშვილება პასუხობს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს;

გ) მიღებულ იქნა შესაბამისი პირების ან დაწესებულებების თანხმობა გაშვილებაზე და აღნიშნულ პირებს ან დაწესებულებებს, რომელთა თანხმობა აუცილებელია გაშვილების დროს, ჩაუტარდათ შესაბამისი კონსულტაციები და იყვნენ ინფორმირებული მათი თანხმობის შედეგების შესახებ. ასეთმა პირებმა ან დაწესებულებებმა მისცეს თავისი თანხმობა საჭირო იურიდიული ფორმით, წერილობითი დამოწმებით;

დ) პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხმობა არ იყო გაცემული გასამრჯელოს ან რაიმე სხვა სახის კომპენსაციის სანაცვლოდ და არ იყო გამოთხოვილი უკან;

ე) შემოთავაზებული მშვილებლის მიერ ბავშვის შვილად აყვანა შეესაბამება ბავშვის ინტერესებს.

2. თუ წარმომშობის სახელმწიფო დაადგენს, რომ ბავშვი ექვემდებარება საერთაშორისო გაშვილებას, რეესტრში შვილად აყვანის მსურველი ოჯახის/პირის რიგითობისა და ბავშვის შესახებ, მშვილებლების/მშვილებლის განცხადებაში

მითითებული მონაცემების მოთხოვნათა შესაბამისად, იგი უგზავნის მიმღები სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს/შვილად აყვანის მსურველ ოჯახს/პირს მოხსენებას, რომელიც შეიცავს ბავშვის შესახებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, საცხოვრებელი ადგილი;

ბ) ბავშვის გამოვლენის გარემოებები, ბიოლოგიური მშობლების შესახებ ინფორმაცია სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) ჯანმრთელობის მდგომარეობა;

დ) სოციალური მდგომარეობა.

3. მიმღები სახელმწიფოს უფლებამოსილმა ორგანომ/შვილად აყვანის მსურველმა ოჯახმა/პირმა წარმოშობის სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოს უნდა აცნობოს პასუხი წარმოშობის სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ განსაზღვრულ ვადაში.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პასუხის მიღებამდე შესაბამისი ბავშვის სხვა შვილად აყვანის მსურველი ოჯახისთვის/პირისთვის შეთავაზება არ ხდება წარმოშობის სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ განსაზღვრულ ვადაში.

მუხლი 5.

1. ორივე სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანო ცდილობს მიიღოს თანხმობა იმის შესახებ, რომ ბავშვს აქვს წარმოშობის სახელმწიფოდან გასვლის, მიმღებ სახელმწიფოში შესვლისა და იქ მუდმივად ცხოვრების უფლება.

2. ორივე სახელმწიფოს ცენტრალური ორგანო უზრუნველყოფს ბავშვის უსაფრთხო გადაცემას, შესაბამის პირობებში და თუ ეს შესაძლებელია, მშვილებლების ან სავარაუდო მშვილებლების თანხლებით.

3. თუ ბავშვის გადაცემა არ განხორციელდება, ამ ხელშეკრულების მე-3 და მე-4 მუხლებში აღნიშნული მოხსენებები უნდა დაუბრუნდეს იმ ორგანოებს, რომლებმაც მოამზადეს ისინი.

მუხლი 6.

ხელშეკრული სახელმწიფოების უფლებამოსილმა ორგანოებმა უნდა გაცვალონ ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც საჭიროა შვილების კონკრეტული საქმის წარმოებისათვის.

თავი III.

უფლებამოსილი ორგანოები და მათ შორის თანამშრომლობა

მუხლი 7.

ამ ხელშეკრულების შესრულებაზე უფლებამოსილი ორგანოებია საქართველოს მხრიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო

სამართლის იურიდიული პირი _ სოციალური მომსახურების სააგენტო, ხოლო -----
მხრიდან -----.

მუხლი 8.

უფლებამოსილი ორგანოები უშუალოდ ან სახელმწიფო ხელისუფლების მეშვეობით იღებენ შესაბამის ზომებს გაუმართლებელი ფინანსური ან სხვა სარგებლობის აცილების მიზნით გაშვილების დროს და ყველა იმ ნებისმიერი პრაქტიკის ასაცილებლად, რომელიც ეწინააღმდეგება ამ ხელშეკრულების მიზნებს.

მუხლი 9.

უფლებამოსილი ორგანოები უშუალოდ ან სახელმწიფო ხელისუფლებისა და თავიანთ ქვეყნებში რწმუნებული სხვა ორგანიზაციების დახმარებით ატარებენ შესაბამის ღონისძიებებს იმისათვის, რომ:

ა) შეაგროვონ, დაიცვან და გაუცვალონ ერთმანეთს ინფორმაცია ბავშვის მდგომარეობისა და პერსპექტიული მშვილებლების შესახებ, რაც სავალდებულოა გაშვილების განსახორციელებლად.

ბ) გაუადვილონ, დაიცვან და დააჩქარონ გაშვილების პროცედურა;

გ) გაცვალონ ინფორმაცია გაშვილების საკითხებზე თავიანთი ქვეყნების კანონების შესახებ, სტატისტიკური მონაცემები და სხვა ზოგადი ინფორმაცია გაშვილების სფეროში არსებული გამოცდილებების შესახებ.

დ) აცნობონ ერთმანეთს ხელშეკრულების მოქმედების შესახებ და, რამდენადაც შესაძლებელია, აიცილონ ყველა დაბრკოლება ხელშეკრულების შესრულებისას.

ე) მათ მიერ მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ცენტრალური/უფლებამოსილი ან სხვა ორგანოსაგან მიღებული ინფორმაცია გამოყენებულ იქნას მხოლოდ გაშვილების მიზნებისათვის.

ვ) შვილად აყვანის დროს მიმღები სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია აცნობოს წარმოშობის სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოს მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში ნებისმიერ ცვლილების თაობაზე;

მუხლი 10.

უფლებამოსილი ორგანო, რომელიც აღმოაჩენს, რომ ხელშეკრულების რომელიმე დებულება არ არის დაცული ან არსებობს მისი შეუსრულებლობის საშიშროება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ თავისი სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოს. უფლებამოსილი ორგანო პასუხისმგებელია შესაბამისი ზომების მიღების უზრუნველყოფაზე.

თავი IV.

გაშვილების აღიარება და შედეგები

მუხლი 11.

გაშვილება, რომელსაც აფორმებს იმ სახელმწიფოს კომპეტენტური ხელისუფლება, სადაც წარმოებს გაშვილება ხელშეკრულების შესაბამისად, აღიარებულ უნდა იქნას ხელშემკვრელი მხარის კანონით.

მუხლი 12.

ხელშემკვრელ სახელმწიფოში გაშვილების აღიარებაზე უარის თქმა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაშვილება ნამდვილად ეწინააღმდეგება მის სახელმწიფო პოლიტიკას და არ ითვალისწინებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

მუხლი 13.

უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაშვილების შესახებ გადაწყვეტილების აღიარება მოიცავს ყველა იმ სამართლებრივი შედეგის აღიარებას, რომელიც გათვალისწინებულია იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომელმაც მიიღო აღნიშნული გადაწყვეტილება.

თავი V.

დასკვნითი დებულებები

მუხლი 14.

ამ ხელშეკრულების ინტერპრეტაციის ან მისი განხორციელების დროს ნებისმიერი შეუთანხმებლობის შემთხვევაში წარმოშობილი დავა გადაწყდება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით.

მუხლი 15.

ეს ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერილი მხარეების მიერ ხელშეკრულების ძალაში შესვლისათვის საჭირო აუცილებელი პროცედურების დასრულების დამადასტურებელი ბოლო შეტყობინების გაცვლის შემდეგ.

მუხლი 16.

მხარეთა თანხმობით, ხელშეკრულებაში ნებისმიერ დროს შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები წერილობითი ფორმით, რომელიც ძალაში შედის სათანადო პროცედურების დასრულების დამადასტურებელი ბოლო შეტყობინების გაცვლის შემდეგ.

მუხლი 17.

1. ეს ხელშეკრულება ძალაშია განუსაზღვრელი ვადით.
2. ამ ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა გავლენას ვერ მოახდენს იმ შვილად აყვანაზე, რომლებიც შეთანხმებული იყო მისი მოქმედების პერიოდში, თუ ხელშემკვრელი მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.

ზემოაღნიშნულის დასტურად,

(მიმღები სახელმწიფოს) ----- და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის _ სოციალური მომსახურების სააგენტოს სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები ხელს აწერენ ამ ხელშეკრულებას.

შესრულებულია (ქალაქი, თარიღი, ეგზემპლარების რაოდენობა და ენა). ----- ტექსტს გააჩნია თანაბარი ძალა. განსხვავებული ინტერპრეტაციის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ----- ტექსტს.

(მიმღები სახელმწიფოს სახელით)

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის _ სოციალური მომსახურების სააგენტოს სახელით
